სამშაბათს

№ 2.

ჱ-ივლისს.

# ტფილისის უწყებანი.

გამოიცემიან კვირაში ერთ ჯერ, სამშაბათობით.

ჩყლ-სა წელსა

ნახევარწლის ფასი არის ხუთი მანეთი თეთრი ფული.

## შინაგანნი ამბავნი.

ტფილისი ზ-ივლისსა,

უმაღლესისა ნებისა ებრ ჴელმწიფე იმპერატორისა სიმაგრე, რომელიცა კეთდება სოფელს ჯარის წოდებულ-არს ახალ ზაქათალად. ორს ივლისსა ბრძანებითა უფლის მთავარმმართებლისათა, მისის ბრწყინვალების ღრაფის პასკევიჩის ერევნისა, ღენერალ-მაიორს სერგეევს გაუხსნია ჯარში დროებითი მმართებლობა განსაკუთრებულად ჯარის სამთლობელოჲსა.

ჴელმწიფე იმპერატორმან ექვსს ივნისსა ინება დაბრუნება ვარშავს თავისის მგზავრობიდამ სამხრეთის ღუბერნიათა შინა რუსეთისათა. ადგილსა წოდებულსა კორნად ოც და ოთხს ვერსზედ ქალაქის პეტერბურღიდამ, სადაც გამოცხადებისა მჴედრობათასა იმყოფებოდნენ ორნი ღენერალ-ფელდმარშალნი მთავარმმართებელნი პირველისა არმიისა ღრაფი ფონ დერ ოსტენ საკენი და მეორისა ღრაფი დიბიჩ ზაბალკანსკი. ესე უკანასკნელი მიეგება რა ჴელმწიფე იმპერატორსა ნოვომირგოროდს თანახლებად მისს დიდებულებასა. მისმა იმპერატორებითმა დიდებულებამან ჴელმწიფე იმპერატრიცამან ინება დაბრუნება პეტერჰოფ ვარშავს, რვასა რიცხვსა ჴუთს საათზედ შუადღის შემდგომ.

სანკტპეტერბურღს მოელოდნენ ჴელმწიფე იმპერატორსა და ჴელმწიფე იმპერატრიცასა ოც და ოთხს რიცხვსა ივნისის თვესა.

ახალნი ამბავნი უცხოთ ქვეყნისანი. ანგლია.

სანკტპეტერბურღს მიღებულ-არიან ლონდონიდამ გარემეს წერილებითა ცნობანი, რომელ კოროლი ანგლიისა ღეორღ მეოთხე, მეფე მამითა ავათ წყლმანკითა გარდაცვლილა. მემკვიდრე ტახტისა შემდგომად მისსა არის ვილჰელმ ღენრიხი, ღერცოღი კლარინსკისა. შობიდგან არის ესე სამოც და ხუთის წლისა სნეული, რომლისა გამო ჰგონებენ, რომელ მას ეგრეთვე არა მალ უმს დიდხანს მეფობა ამის შემდგომ მევალს ველიკობრიტანიის ტახტსა ზედა პრინცესა ვიქტორია თვრამეტის წლისა, ასული ვენტის ღერცოღისა, ამისწული გარდაცვლილისა კოროლისა-პრინცი ლეოპოლდ კობურღისა, რომელიცა დანიშნულ იყო მთავრად საბერძნეთისა ეუვის ამა პრინცესასა ბიძად ლედით, და როგორც ჰგონებენ იქმნების რეღენტად სრულს ჰასაკს მოსვლადმდე მისსა; ამა გარემოებისა ერთის გზით მიაჩემებენ უარისყოფასა მისმიერ საბერძნეთის ტახტისასა.

ფრანცია ფრანციასა შინა არის ჩუმირი დამაოხრებელი სახლისწვაჲ და როგორც ჰგონებენ საზოგადოებისაგან ბოროტმოქმედთასა ცეცხლის მოდებაჲ ესრეთი გახშირდა ასე, რომ იშიშვიან თითქმის მისგან პროვინციასა შინა. ოც და ცხრას მაისსა ჰქონდა მიზეზი ამისი გარემოებანსა შინა მის ქალაქისასა, წოდებულსა სენტ-დენად. მოაწყრეს ვიდასაც კარგათ ჩაცმულსა კაცსა იმა მინუტს, რომელსაც უნდოდა მას რიდასიც ჩაგდება ჩარდახსა შინა, გავსებულსა ნართითა, მაგრამ გაექცათ იგი და ვერა რომლისამე ღონით დაიჭირეს, გზასა ზედა, რომელზედაცა გამოუგდნენ მას, ჰპოვეს ყუთი, რომლიდამაც, როცა ახადეს, ამოვარდა ფიცხელი მოლურჯო ალი. მმართებ-

ლობა ორს თვეს აქაოდ მეცადინობდა ჰოვნასა ჭრალეულთასა ესოდენ შესაძრწუნებელთა მოროტმოქმედებათათა.

ლექსად თქმული პუშკინის მიერ.-

სადა არიან ოცნებანო, სიტკბონი შენნი,
სადა ხარ ღამის სიხარულო, მსწრაფლ
განსასრბოლო;
მალიად განქრნენ ვაჲ, აჩრდილნი სიზმრად
მომჩვენნი,
და განა-ფხიზლი, ბნელს შინა ვმოთმილვარ
მხოლო.
საწოლი ჩემი ყრუსა ღამეს მოუცავს გარე,
განმშორებიან, ტრფიალების ოცნებათ დასნი.
გული ჯერეთცა, სიამისგან მთვრალად მგზნარე,
ემებს იყელთოს მისვე სიზმრის ხატნი მჯრფასნი.
ჰი სიყვარულო, სიყვარულო, მისმინე თხრობა,
მოვე აქცრე ჩემდა მომართ, ჩვენება კვალი,
მითვე ზმანებით კვლავ, ერთგზისცა მალირსე
ტრფობა,-
და გინდ სიკვდილად გარდამექცეს მე იგი მერე.

უბედურება უბედურებაზედ, ანუ შემთხვეულიება მორცხვისა კაცისა, თვით მისგან თქმული.

ცხოვრებაში მღევნის მე რაღაც გვარი უბედურებისა, ვიშიში არა მაიძულოს მე დატევებად საზოგადოებისა, რომლისაცა გაცნობა გულით მინდა მე; მაგრამ უწინარეს ყოვლისა მიყურს მოკლედ შევატყობინო თქუენ ჩემი მთამომავლობაჲ და ახლანდელი მდგომარეობა, რათა მალვედოსთ განჰსჯა იმა სიძნელეთა, რომელთაცა მე უნდა დავთრგუნავდე. მამა ჩემი იყო არა მდიდარი იჯარადარი და არცა ჰქონდა სხვა სწავლაჲ გარდა მისსა, რომელიცა მიეღომას შკოლასა შინა გლახაკთ მზრუნველობისასა. დედის ჩემის სიკვდილის შემდგომ მამა ჩემმა მოინდომა კარგად აღზრდაჲ ჩემი და იმედეულებდა მით გამშვენიერებასა ჩემსა და ესრეთ გაგზავნილვიყავ მე პროვინციასა შინა და მიცემულ სასწავლებელში, ხოლო შემდგომ მისსა [illegible] და აქედგან უნდა გადასულვიყავ

სასულიეროსა წოდებასა შინა; მამისაგან მივიღებდი მე დიახ მცირესა თეთრსა და ვიყავი რა მორცხვი, მე არა მქონდა შემწეობა და არცა შემთხვევაჲ აღხოცად თჳს მორის ბუნებითისა ამის გაუბედველობისა, რომელიც არის მიზეზი ჩემის უბედურებისა.

არა ნამეტრავი! იქნება ეგრეთვე გაუწყო თქუენ, რომელ მე ვარ ტანით მაღალი, სამაოდ გაწყობილი, მშვენიერის სახისა, თეთრ-ყირმიზი თმიანი და ყოველი უბრალო რაღაცა შემთლი; მაშინ სისხლი შემივარდება თავში და მევიქნები მსგავსად გაშლილის ვარდისა.

ამა საუბედურომან თჳსებამან იძულებით შემაყვარა მე შკოლური სახე ცხოვრებისა და მომცა მიზეზი დარჩომისა უნივერსიტეტში და მიღებისა თჳსთანა შაგირდთასა.

განძრახვა ესე მე თითქმის აღვასრულე, მაგრამ ორმან მოულოდნელმან შემთხვეულებამან სრულებით გამოცვალა საქმენი ჩემნი: სიკუდილმან მამისამან და ანაზდეულ მოსვლამან ბიძისამან, რომელიცა ჰცხოვრებდა მარალის ამერიკას.

მამა ჩემს ფრიად იშვითად უთქვამს ჩემთჳს ბიძის ამბავი და თითქმის ჰგონებდენცა მას დიდის ხნის გარდაცვლილად, მაგრამ ანაზდეულ მოვიდა იგი ანგლიას, ერთს კვირას უკან შემდგომ სიკუდილისა ძმისა თჳსისა.

მამის სიკუდილმანმე დიდად შემაწუხა მე, რადგანაც ვიყავ მოვალე მისის მზრუნველობისა აღზრდისათჳს ჩემისა; ხოლო ბიძა ჩემი, რომელიც იყო განშორებული ძმისაგან თჳსისა უმეტეს ოც და ათის წლისა, მცირედცა არა სწუხდა მისის სიკუდილისათჳს.

ბიძა ჩემი ჰპატრონობდა რა დიდსა სიმდიდრესა ოც და ათი ათასსა ფუნტსა სტერლინგსა, მოელოდა ნეტარებასა; გარნა ვაჲ! საშუალ ამა გულის სათქმელთა მოლანდებათა გამოცვლამან

ჰპერისამან, რომელიც წარმოქრებულია რომ აწ-ყენდა მას, ანუ იქნება სხვამან ვითარმამე უცნობელმა მიზეზმა მოჰკლა იგი და მე დავრჩი მარტო მემკვიდრედ მისის ქონებისა და ესრეთ აჰა მე ვარ უჭკუო აწ ოც და ხუთის წლისა; ვიცი კარგათ მათემატიკა, ბერძნული და ლათინური ენები, ვპატრონობ დიდსა სიმდიდრესა, მაგრამ საუბედუროდ ვარ დიახ მორცხვი და გამოუცდელი კარგსა ბაასობასა შინა.

:

დიდი ხანი არ არის ვიყიდე მე მამული; რომლისაც თქვენ მოიგონებთ ჩემსა შთამომავლობასა და უზდელობასა, ძნელად დაიჯერებთ, რომ ვინმემ გაფიქროს ჩემთან დროსატარება; მაგრამ ამიჩნდენ მართლად ასეთნი, რომელთაცა იწყეს ძებნა ჩემის გაცნობისა, და მე შევამცნიე რომ კაცთა ამათ ჰყვანდათ სახლობასა შინა თვისსა ჰასაკს მოსულნი ქალიშვილნი.

მე მივიღებდი მრავალთაგან თვით მეგობრებთა მაწვევათა. მაგრამ მორცხვი ზნე ჩემი მარადის მაიძულებდა მათგან შორსყოფად.

ამ სამს დღეს წინ, მე გავბედე წასვლა უფალს ფრინდლეისთან, რომლისაც საამური ქცევა იმედეულმყოფდა გულის წმიდით მიღებასა ზედა ჩემსა.

უფალი ფრინდლეი ჰცხოვრებს ჩემის სახლიდგან ორს ალაგზედ; სახლობასა მისსა შეადგენენ ცოლქმარნი, ორნი ვაჟიშვილნი, ხუთნი ქალნი გასათხოვარნი და უქრმო დაჲ.

მე ვიცოდი, თუ რაოდენ არა მარჯვე იყო ჩემი სიარული, წინათვე წავიყვანე ტანცმეისტერი; მათემატიკა შემეწია მე ამ შემთხვევაში დიდად სასარგებლოდ. ამის სწავლითა ვცანი მე თანასწორზომიერება ჩემის სხეულისა და ჩქარა ვიწყე სიარული გადუხრელ გადმოუხრელად.

ვისწავლე რა კარგად თავისდაკვრაჲ; მე დარწმუნებულვიყავ, რომ ამა ახლადშეძენილითა ზდილობითა, გაბედვით წარვსდგებოდი წინაშე ქალთა;

მაგრამ ოჰ, რაოდენ ამაო არს იმედი სწავლითა, როცა იგი არა არს დამკვიდრებულ გამოცდილებასა ზედა.

მივახლოვდი რა კოშკსა უფლის ფრინდლეისასა, ანაზდეულ მესმა რეკა ზარისა; ამან დამაწყებინა თრთოლა; შევგონა რომ რეკენ სადილისათვის და მე დავიგვიანე; ფერი მეცვალა; შეველ კიბეზედ გალურჯებული მესმოდა რა, რომელ მომგვებებოდნი ჩემნი ლაქიანი ერთი მეორეს ეძყოდენ სახელსა ჩემსა, რათა მოხსენებოდა მისვლა ჩემი ბატონსა.-

დასასრულ შეველ მე სასტუმროში; ვცდილობდი გამბედველობასა და უკეთესსა ახლად სწავლილისა თავისდაკვრასა უმდაბნიდი ცოლსა სახლისპატრონისასა. მაგრამ საუბედუროდ ავიღე რა მარცხენა ფეხი წინწასადგომად, დავადგი მტკივანსა თითსა საწყალობელის სირი ფრინდლეისასა, რომელსაცა ჰჭირდა ფეხში ნევრესის ქარი, და რომელიც საუბედუროდ მოისწრაფოდა ჩემთან იმა მინუტსა, რათა სახელდობრივ წარმოედგინა ჩემთვის ცოლშვილი თვისი.-

თქვენ ახლა გაშინჯეთ ჩემი შეკრთომა და არევაჲ; მაგრამ ზდილობამან ბარონეტისამან მცირედ განაქარვა ჩემი შეშლაჲ და მე ვერშევიძელ საკმაოდ განკვირვება თუ რაოდენ ძალუძს კეთილაღზრდილსა კაცსა მოთმინებით დაფარვა თვს მორის სასტიკის ტკივილისა და ჩვენება თავისათვისა შეუმცნეველად ჟამსაცა მაწუხებელისა გრძნობისასა.-

მოლხენამან სახლის პატრონის ცოლისამან და სიყვარულმან ასულთა მისთამან სრულიად გამომიყვანა მე შეშლისაგან და გავერიე ლაპარაკში მათთანა. უფალს ფრინდლეის ჰქონდა ვრცელი ბიბლიოთეკ (წიგნების შესანახავი ადგილი), რომელიც იყო მდიდრად შემკობილი ყდიანის წიგნებითა; მე მივხვდი მაშინვე, რომ პატრონი მისი უნდა იყოს სწავლული კაცი და გავბედე ჰაზრისა ჩემისა მოხსენება სხვა და სხვათა საბერძნეთის სამეცნიეროთა წიგნთათვის; ბარონეტი ყო-

ველსავე შინა თანახმა იქმნა ჩემთანა, მე შევეხე ამა წიგნთა, მისთჳს, რომელ შევნიშნე თხზულება კსენოფონტისა თოთხმეტ ნაწილად. წიგნები ესე არა ოდეს მენახა მე და არცა მსმენოდა მათთჳს რაჲმე სხვისაგან; სალისმა მაიძულა მე ადგომად და განხილვად უახლოეს ამა ძვირფასისა თხზულებისა, სირ ფრინდლეი შიმუგა, განსამარტებელად ჩემდა ამა საკვირველებისა; მე მეგონა, რომელ მას საამებელად ჩემსა უნდა ჩამოლეგა წიგნებისა, ვისწრაფე რათა არა გამესარჯა იგი ამას ზედა და მოვავლე ხელი პირველსა ნაწილსა ამა წიგნთასა, მალიად გამოვჳწიე გარნა, ჵი სანაცვლად წიგნებისა იყო იგი უბრალო ტყავით გადაკრული, მოვარაყებული ფიცარი, რომელიცა წარმოადგენდა იმა თექვსმეტისა ნაწილსა თხზულებისასა; იგი ჩამოვარდა და წამსვე სტოლზედ მდგომარე სანთელი; მელანი დაიღვარა ძვირფასად დაფენილს სტოლსა და ისპაანის ხალიჩასა ზედა; ჭკუიდამ გადავკარგე და არა ვგრძნობდი რასაც ვშვრებოდი. მე საჩქაროთ ამოვიღე ჯიბიდგან თეთრი ბატისტის ცხვირსახოცი და მით შევაშრე ნაკადული მელნისასა საშუალ ამა მელნისა, ვაცა შემოვიდა და მოახსენა რომ სადილი გახლავსთ მზათაო.

გავიარე რა წინაზალაჲ, მე მეჩნდა დრო გულის მობრუნებისა, მიმიწვიეს და დამსვეს სახლის პატრონის ცოლის და მისის უფროსის ქალის შუა.

დროიდგან ჩამოვარდნისა მის კსენოფონტისასა ზედ ჩემი დაუმორჩილებელად აენთებოდა; მაგრამ მე ვიწყე გამართვაჲ თავისა ჩემისა, და აჰა არამზადუელი ახალმან შემთხვევულებამან შემიყვანა მე კვალად სამეტნავსა შეძლიობასა შინა.

მე გამოუცხადებდი რა მადლობასა დასა ბირონეტისასა, რომელიცა აქებდა ჩემსა ზრდილობით მისვლასა, უეცრად ხელი მოვხვდე ჯამსა ცხელის სუპით სავსესა, რომელიცა დადგმულ იყო მეტად წინ სტოლის ნაპირას და გადმოვისხი იგი მუხლებსა ზედა.

თუმცა საჩქაროდ მომეშველნენცა, მაგრამ ვერ დავიხსენ ტანჯვითთა შემთხვევულებათა ჩემის უმარჯვებისათა და რაოდენმე მინუტს დიდად ვიტანჯებოდი. მოვიგონე, თუ როგორის სიმაჲრით სირ ფრინდლეი მოითმენდა ტკივილსა, რომელიცა ჩემის უბედურობით შევამთხვიე მას და გავიმაგრე რა ამით გული, დავსხედ კვალად ჩემს ალაგსა საშუალ ხმამაღლა სიცილისა ქალთასა და მზაკვრისა კრეჭისა მოსამსახურეთასა.

(ამისი დაბოლოება იქმნება მესამეს ნომერში)

ლოდმელა კანტიმირი.

ასული სპარსთა მჴედართმთავრისა მელიაბეთისა, მობილი მენდელისა შინა, რომელიცა არს ქურთისტანს.-

ჭეშმარიტი სიმჴნე არს ნაყოფი სულისა და გრძნობათა სათნოებრივთა; იგი ეთჳსების ორთავე სქესთა და ყოველთა ჰასაკთა. - ქალნი რომისა შინა, ჭაბუკი მისსავე კართაგენს, ელნი რა ანდალუზისაჲ ლაკედემ ბოვს და კანნა დარისი დომრემს, არიან მაგალითნი მისნი, რომელ ეელათაცა ეგრეთვე, ვითარცა მამაკაცთა, ძალუძსთ ქმნა დიდთა საქმეთა, თჳთ სიჭაბუკესაცა შინა წელთასა.-

ლოდმელს კანტიმირისა, მობილსა მენდელსა შინა, რომელიცა არს ქურთისტანს, ეგრეთვე ძალუძს ყოფა რიცხუსა შინა ამა მამაცთასა, არა მისთჳს, რომელ იგი დიდებულ იყოს ბრძოლათა შინა ანუ გარემოდგომასა ზეფითარისამე ძალაქისასა, ალებულისა ერიმითა, არამედ ყმებრივისა სიყუარულისა და მოლოჲსა განრახვისაგამო მისისა, იმულებით მიღებულისა.-

მელიაბეთ, სპარსთა მჴედართ-მთავარი ჰმსახურებდა გამოცდილითა ერთგულებითა სპარსთა სოფის მირზა აბასს, წინამავალსა ჩინებულისა ყულიხანისასა. ამან მჴედარმან, ჭეშმარიტად ღირსმან პატივისცემისა, ვითარცა ნიჭთა გამო, ეგრეთცა შინაგანთა სათნოებათა გამოცა გამოსცადა ჩუმდრი, ჩინებულთა კაცთადმი ჩვეულებითი. შურმან იწყო დევნად მისსა; სამინელთა უგონებლეს მას ცილთა. ჰელმწიფემან, რომელიცა მიიღებდა მას კეთილ-მიდრეკილებით და გამოუცხადებდა მას წყალობათა, ოდესცა იყო იგი საჭირო, მიაგო სარწმუნოების მეურაცხმყოფელი უმადლოება მაშინ, ოდესაცარდა იყო უკვე იგი საჭირო სამსახურთა შინა მისთა: წამსა მას, ოდესცა ესე ახალი ველიხარ ჰგონებდა დატკბობასა ნაყოფისა შრომათა